

ევროკავშირისა და ევროპის ქვეყნების თანამედროვე პრობლემები და მომავლის შესაძლო ტრანსფორმაცია

(საუბარი პროფ. ზდისლავ კრასნოდებსკისთან)

ZOOM-საუბარს უძღვება პროფესორი დავით გურგენიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი.

საუბრის მონაწილეები არიან ასოცირებული პროფესორი დავით მახვილაძე და საქართველოს დესპანი ავსტრიის რესპუბლიკაში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი ილია მარჯანიძე.

პროფ. დავით გურგენიძე:

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო,

მაქვს დიდი პატივი, წარმოგიდგინოთ ჩვენი დღევანდელი სტუმარი, ბატონი პროფესორი ზდისლავ კრასნოდებსკი.

ბატონი კრასნოდებსკი პოლონელი, ევროპელი ფილოსოფოსი და სოციოლოგია. ის ასწავლიდა და კვლავაც ასწავლის პოლონურ და გერმანულ უნივერსიტეტებში. მოკლედ წარმოგიდგინებ მის საინტერესო აკადემიურ კარიერას:

1975-1991 წლები - ვარშავის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტის სოციოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტი, მთავარი ასისტენტი, მეცნიერ-თანამშრომელი.

1991-1992 გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კასელის უნივერსიტეტის სოციოლოგიის სტუმარ-პროფესორი.

1992-1993 ბრემენის უნივერსიტეტის სტუმარ-პროფესორი, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის კულტურის ისტორიის მიმართულებით.

1994-1995 ბრემენის უნივერსიტეტის სტუმარ-პროფესორი.

1995-1997 პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის, ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი.

1998-2009 ბრემენის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპისმცოდნეობის სემინარის ხელმძღვანელი.

1997-2008 ბრემენის უნივერსიტეტის პოლონური კულტურის ინტერდისციპლინარული მიმართულების ხელმძღვანელი.

2001-2011 ვარშავის კარდინალ-შტეფან-ვიშჩინსკის უნივერსიტეტის პროფესორი.

1995 წლიდან დღემდე - ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორი.

2011 წლიდან კრაკოვის აკადემია იგნატიანუმის საგანგებო პროფესორი.

მისი აკადემიური კარიერის პარალელურად, ბატონი პროფესორი კრასნოდებსკი თანამედროვე ევროპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკოსია. იგი 2017-2019 წლებში იყო ევროპის პარლამენტის ვიცე-პრეზიდენტი. ამჟამად კი, არის ევროპის პარლამენტის ინდუსტრიის, კვლევებისა და ენერგეტიკის კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარე.

განსაკუთრებულად მახარებს, რომ დღეს, ჩემს კოლეგებთან ერთად, ვესაუბრებით დარწმუნებულ ევროპელს და, ამავდროულად, მისი ქვეყნის დიდ პატრიოტს. ბატონი კრასნოდებსკი ევროპაში წარმადგენს პოლონეთს, საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო მეგობარ და პარტნიორ ქვეყანას.

პროფ. კრასნოდებსკისთვის საქართველო არა არის უცხო ქვეყანა. მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჩვენი სამშობლოსადმი მან არაერთხელ დაამტკიცა თავისი თანამშრომლობით საქართველოსთან, როგორც აკადემიური, ასევე პოლიტიკური საქმიანობით. იგი მრავალჯერ არის ნამყოფი საქართველოში, კარგად იცნობს მას და საქართველოს ევროპული მისწრაფებების ერთ-ერთი აქტიური და ძლიერი მხარდამჭერია.

ჩვენი დღევანდელი საუბარი შეეხება ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორცაა, მაგ.: სოლიდარობის საკითხი ევროკავშირს შიგნით და მის ფარგლებს გარეთ, განსაკუთრებით, Covid-19-ით გამოწვეული სირთულეების დროს; ევროკავშირის მომავალს და საქართველოს გაცხადებულ მიზანს ევროკავშირთან მაქსიმალურად დაახლოებისა და იმედი გვაქვს, მისი წევრობისკენ მიმავალ გზაზე; ჩვენ ვისაუბრებთ პოსტ-ტოტალიტარული საზოგადოებების ტრანსფორმაციაზე და ამ პროცესში ევროკავშირის მხარდამჭერ, მნიშვნელოვან როლზე. სრულიად განსაკუთრებულად გვანტერესებს ჩვენი სტუმრის პოზიცია განათლების სფეროში, განსაკუთრებით - უმაღლესი განათლების მიმართულებით თანამშრომლობის შესახებ და განათლების როლის თაობაზე, რასაც ჩვენ ქართული საზოგადოების ჯანსაღი, მდგრადი ტრანსფორმაციის ქვაკუთხედად განვიხილავთ.

კითხვებს, ჩემთან ერთად დასვამენ ბატონი დავით მახვილაძე და ბატონი ილია მარჯანიძე.

ბატონი დავით მახვილაძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორია.

ასევე ჩვენი უნივერსიტეტის დოქტორანტია დიპლომატი, ბატონი ილია მარჯანიძე, რომელიც ამჟამად საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანია ავსტრიის რესპუბლიკაში. იგი ვენიდან ჩაგვეერთვება.

აქვე მინდა განსაკუთრებულად გავუსვა ხაზი, რომ შეკითხვები, რომლებსაც დღეს დავსვამთ და პოზიციები, რომლებსაც აქ დავაფიქსირებთ, მხოლოდ ჩვენს, როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სასწავლო და კვლევითი დაწესებულების წარმომადგენელთა პერსონალურ პოზიციებს გამოხატავს.

ასეთი საუბრების სერია, რომელიც რამდენიმე თვის წინ, პროფ. მარკუს გაბრიელთან გამართული შეხვედრით დავიწყეთ, აუცილებლად გაგრძელდება. მიგვაჩნია, რომ მოსაზრებები, იდეები, რეკომენდაციები, რომლებსაც ჩვენი პატივცემული ევროპელი სტუმრები გამოთქვამენ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს მეტი „ევროპეიზაციისა“ და ევროკავშირთან ჩვენი საზოგადოების მაქსიმალური დაახლოების გზაზე.

კიდევ ერთხელ მსურს მივესალმო პროფ. კრასნოდებსკის და ჩემს კოლეგებს, ბატონ დავით მახვილაძეს და ბატონ ილია მარჯანიძეს. მინდა ვისურვო, ღია და საინტერესო საუბარი გამოგვივიდეს, რომელიც უკვე წინასწარ მახარებს.

პროფ. დავით გურგენიძე:

საფრანგეთის რევოლუციამ, როგორც ყველასთვის ცნობილია, მთლიანად შეცვალა და განსაზღვრა ევროპისა და შემდგომ ე.წ. დასავლეთის პოლიტიკური და სოციალური სისტემა. რევოლუციის მთავარი სლოგანი **Liberté, égalité, fraternité** დღემდე თავისუფალი დემოკრატიული სამყაროს სოციალურ-პოლიტიკური მოქმედების ქვაკუთხედაა, მისი მესამე შემადგენელი ნაწილი, რომელიც თავისი დროის მენტალობიდან გამომდინარე fraternité-დ იწოდებოდა, დღესდღეობით, თანამედროვე კონტექსტის სრული შესაბამისობით, „სოლიდარობად“ არის ნათარგმნი და ის, ჩემი აზრით, ყველა ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოს/საზოგადოების და, პირველ რიგში, ევროკავშირის მთლიანად და მისი ცალკეული წევრი სახელმწიფოებისთვის მნიშვნელოვანი, არამარტო პოლიტიკური, არამედ ეთიკური დატვირთვის მატარებელი ქმედების საფუძველი და ინსტრუმენტია ერთდროულად. ამ ცნებისა და ქმედებების ინსტრუმენტის მნიშვნელობას განსაკუთრებით Covid-19 პანდემიის პირობებში ვხედავთ. მართალია, რიგი სახელმწიფოები თუ ცალკეული მოაზროვნეები თვლიან, რომ ეთიკური და პრაგმატული პოლიტიკური ქმედებები ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს და თითქოს მათ არაფერი აქვთ საერთო, რა დროსაც სწორედ ადამიანის

უმთავრესი არსი ღირსება შეიძლება იქნეს შელახული. ჩემი აზრით კი, ჩვენ პრაგმატული მოქმედების ისეთი ფორმები უნდა შევქმნათ, რომელიც ადამიანის ღირსებასთან იქნება თავსებადი. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ დღევანდელი გლობალური პრობლემის მოგვარების გზაზე დროდადრო ისმოდა მოსაზრებები და შეიძლება ნაკლებად, მაგრამ დღესაც ისმის, რომ მხოლოდ ცარიელი პრაგმატული და უტილიტარული მიდგომებით და მეთოდებით უნდა ვიხელმძღვანელოთ. ამ გლობალური პრობლემის მოსაგვარებლად, საბედნიეროდ, ევროკავშირმა დროულად შეამჩნია ამგვარი მიდგომების სახიფათო შედეგების შესაძლებლობა და პანდემიით გამოწვეული პირველი მცირეხნიანი შოკის შემდეგ, აქტიურად ჩართო სოლიდარობის გამოხატვის მექანიზმები. გერმანიის პრეზიდენტი ფრანკ ვალტერ შტაინმაიერის პერიფრაზირება რომ მოვახდინოთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ, ადამიანები მხოლოდ სოლიდარობისთვის კი არ ვართ მოწოდებული, არამედ სოლიდარობა მოვალეობად უნდა გვექცეს. ანუ ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ყველა ერთი მთლიანის - ჰუმანისტური მსოფლიოს ნაწილი უნდა გავხდეთ. კაცობრიობას ამ გლობალურმა გამოწვევამ დაგვანახვა, რომ ძველი მოდელი დასავლეთ-აღმოსავლეთის დაპირისპირებისა აღარ მოქმედებს და იგი სტაბილურ მსოფლიო წესრიგამდე ვეღარ მიგვიყვანს. გლობალიზაციის პროცესი, რომელიც ძირითადად, ეკონომიკური შინაარსის იყო და რომელიც სახელწმიფოს თუ სახელმწიფოების ჰეგემონობით აღინიშნებოდა, უნდა შეიცვალოს ღირებულებითი გლობალიზაციით, სადაც უპირატესობა-ჰეგემონობა აღარავის ექნება, არამედ შეიქმნება უნივერსალური მორალური ქმედების საფუძვლები, რა დროსაც ყველა ერთმანეთს, როგორც თანასწორს აღიარებს. როგორ ფიქრობთ, არის თუ არა ევროკავშირი ის ორგანიზმი და ძალა, რომელიც შეძლებს გახდეს ამ მიდგომების განხორციელების ფლაგმანი?

პროფ. ზდისლავ კრასნოდებსკი:

თავდაპირველად, მსურს დიდი მადლობა გადავუხადო რექტორს, პროფესორ დავით გურგენიძეს ამ შეხვედრის ორგანიზებისთვის და პროფესორ მამუკა ბერიაშვილს, რომელთანაც მრავალწლიანი ურთიერთობა და მეგობრობა მაკავშირებს, რომლის მოწვევითაც არაერთხელ ვყოფილვარ თქვენს ლამაზ ქვეყანაში, რომელსაც ჩემთვის უცხო ქვეყნად აღარ მივიჩნევ.

მსურს ჩემი პასუხი დავიწყო სოლიდარობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი კითხვით, რომელიც მართლაც გახლავთ საკვანძო კონცეპტი ან ცნება და მე იმ ქვეყნის და იმ თაობის წარმომადგენელი ვარ, სადაც და რა დროსაც სოლიდარობამ და სოლიდარობის მოძრაობამ გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია არა მხოლოდ 1989 წელს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის გამყოფი ხაზის აღმოფხვრაში, არამედ ოთხმოციანი წლების დასაწყისშიც, როდესაც ახალი ტალღის რეფორმისტული მოძრაობა „სოლიდარნოსწი“ ფუნქციონირებდა პოლონეთში და ამ ცენტრალურმა ცნებამ თავისი წვლილი შეიტანა იმაში, რომ ჩვენ დღეს ოდნავ უკეთეს ევროპაში

ვცხოვრობთ. ამ ცნებას დღემდე აქვს თავისი გავლენა ფილოსოფიაზე და სოციალურ თეორიაზე ჩემს ქვეყანაში. ახლახან საჩუქრად მივიღე ჩემი მეგობრის, ზბიგნეკ სტავროვსკის (იმედია, ის ასევე ჩაერთვება ამ დისკუსიაში) მრავლისმომცველი წიგნის ახალი გამოცემა, რომელიც ეძღვნება სწორედ სოლიდარობის ცნებას. ის ეხმაურება, ასევე, იოზეფ ტიშნერის ძალიან მნიშვნელოვან ნაშრომს - „სოლიდარობის ეთიკა“. იოზეფ ტიშნერი გახლდათ კათოლიკე მღვდელი და „სოლიდარნოსწ“-ის მოძრაობის კაპელანი. რა თქმა უნდა, კაროლ ვოიტილა პაპი იოანე პავლე II დიდ როლს თამაშობდა ამ მოძრაობაში და ამდენად, ამ ცნებას ჩვენში აქვს ასევე ქრისტიანული კონოტაცია. როდესაც სოლიდარობაზე ვფიქრობ, მე მასში ვგულისხმობ ცნებას, რომელიც წინაპირობაა ერთობის არსებობის, ის ნიშნავს დაკავშირებულობას და არა პირიქით, დაქსაქსულობას. ამ საკითხში მე ახლოს ვარ ნეო-არესტიტოლიანურ ხედვასთან, რომელსაც პროფესორი ბერიაშვილი ძალიან კარგად იცნობს და, ასევე, კომუნიტარიზმთან. რაც უფო ძლიერია ერთობა მით უფრო ძლიერია სოლიდარობა, იქნება ეს ოჯახში, თუ ერში. არსებობენ ფილოსოფოსები და პოლიტიკური მოაზროვნეები, რომლებიც კრიტიკულად უყურებენ ამ საკითხს და ამბობენ, რომ ჩვენ სოლიდარობა უნივერსალური ერთიანობის იდეით უნდა ჩავანაცვლოთ, ვინაიდან მას ინდივიდუალურად ეგოიზმისკენ, ხოლო ერების შემთხვევაში ნაციონალიზმისკენ მივყავართ. მე ვფიქრობ, რომ ეს მცდარი წარმოდგენაა, რადგანაც ისევე როგორც ალისტერ მაკინტაი და მაიკლ სანდერსი ფიქრობენ, მეც იმ აზრის ვარ, რომ ჩვენ ერში, ოჯახში ჩამოყალიბებული ადამიანური არსებები ვართ და სწორედ ეს გვქმნის მორალურ ერთობად. მართლაც, პატრიოტიზმი არის სიქველე, მაგალითად, ქართველის პატრიოტობა, გერმანელის პატრიოტობა, პოლონელის პატრიოტობა, მაგრამ ეს არ გამორიცხავს ევროპულ სოლიდარობას, ჩვენ გვაქვს საერთო მემკვიდრეობა, საერთო ღირებულებები. რა თქმა უნდა, ევროპულ გაერთიანებაში ყველაფერი უფრო პლურალისტურია, დიფერენცირებულია, მაგრამ ევროკავშირიც ხომ საერთო ღირებულებებზე საუბრობს, თუმცა ისინი განსხვავებულად ინტერპრეტირდება. მაგალითად, სადაოა ხოლმე, თუ რას ნიშნავს ეროვნული პატრიოტიზმი, ან ტრადიცია და რა კონტექსტშია ისინი გამოსაყენებელი.

ერთი მხრივ, ვეთანხმები, რომ ტრადიციული ღირებულებები მნიშვნელოვანია, მეორე მხრივ, კი გრძნობები, ანგაჟირება და ემპათია განსაკუთრებით რეგიონებისადმი, რომლებიც ჩვენგან შორსაა, იზრდება, თუმცა უფრო ადვილია ამის გამოხატვა ჩვენს ოჯახთან, ჩვენს ერთან ან მეზობელ ქვეყნებთან.

სწორედ აქ უნდა დაისვას კითხვა, რა არის სწორი სოლიდარობა? მაგალითად, რას ნიშნავს სოლიდარობა პოლიტიკაში? ამის შესახებ თქვენ ციტირებდით შტაინმაიერს, რომელმაც სოლიდარობის სწორი განსაზღვრება მოგვცა. ამან მე გამახსენა 1981 წელს წარმოქმნილი კრიზისი და მაშინ წამოჭრილი პრობლემა, როგორ უნდა მოგვეხდინა რეაგირება სიტუაციაზე. ჩემთვის ეს არის მხოლოდ მაგალითი, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, დღესდღეობით, გვაქვს ძლიერი დემოკრატია, რომელიც ზოგჯერ სხვადასხვა მიზეზის გამო მაინც ითრგუნება, ხოლო მაშინ კი, როდესაც ეს მოცემულობა არ არსებობდა, ძალიან მადლიერი ვიყავით დასავლური მხარდაჭერის გამო. გერმანიის მაშინდელმა კანცლერმა ჰელმუტ კოლმა ხაზგასმით თქვა, რომ არ

ესმოდა და არ ეთანხმებოდა საბჭოთა კავშირს, რომელიც პოლონეთს გავლენის სფეროდ განიხილავდა.

დღეს კი მოცემულობა სხვა არის და სწორედ ამიტომ შტაინმაიერი, გარკვეულწილად, გახდა კრიტიკის ობიექტი პოლონეთში, ვინაიდან იგი ემხრობა Nord Stream-ის პროექტს. თუმცა ისიც, გარკვეულწილად, მორალურ არგუმენტებს იშველიებს ამ პროექტის მხარდაჭერის გასამართლებლად, კერძოდ, მეორე მსოფლიო ომში რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსის მიერ განცდილ დიდ ზიანს. ეს მაგალითი მოვიყვანე იმის ხაზგასასმელად, თუ რამდენად რთული საკითხია სოლიდარობა: სად მდებარეობს სოლიდარობა - მორალურის თუ პოლიტიკურის სფეროში?

სხვა მხრივ, ჩემთვის, ვინც ბევრი ისწავლა მაქს ვებერისგან, დიდი გერმანელი ფილოსოფოსისა და სოციოლოგისგან, გასაგებია, რომ არსებობს გარკვეული სახის წინააღმდეგობა ამ ორ ორიენტირს შორის და ზოგჯერ ხდება, გარკვეული სახით, მორალზე აპელირება გარკვეული პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

თქვენ ახსენეთ, რომ თანამედროვე პოლიტიკა და დემოკრატია საფრანგეთის რევოლუციით იწყება. მაგრამ, ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს ბნელი ჩრდილი საფრანგეთის რევოლუციისა: არა მხოლოდ ტერორი და გილიოტინა, არამედ, აგრეთვე, ვანდეის აჯანყების ძალადობრივი ჩახშობა რევოლუციონერთა მხრიდან, რამაც 300 000 ადამიანის, ე.წ. სამოქალაქო პირის სიცოცხლე შეიწირა, რის გამოც მას პირველ თანამედროვე გენოციდსაც უწოდებენ ხოლმე. თუ ვამბობთ, რომ ევროპის კავშირმა უნდა დაადგინოს ახალი სტანდარტი მსოფლიოსთვის, ამავდროულად, ჩვენ ვიცით, რომ არა ყველა, ვისაც ე.წ. გლობალურ მოთამაშეებს უწოდებენ, იცავს ამ სტანდარტს. ზუსტად გუშინ გვქონდა ევროპის პარლამენტში საინტერესო დისკუსია ჩინეთის როლზე, ჩვენი აღმოსავლელი პარტნიორი - რუსეთი ზოგჯერ სრულიად სხვა ღირებულებებს წარმოადგენს და სრულიად განსხვავებულ პოლიტიკას ატარებს, როგორც გლობალურად, ისე რეგიონულად.

აქედან გამომდინარე, დაისმის რთული კითხვა: როგორ უნდა მოიქცეს ევროპა და როგორ უნდა მოვიქცეთ ევროპელები, მაგალითად, ახლო აღმოსავლეთში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით, ან როგორი რეაგირება უნდა გვქონდეს ყირიმის ოკუპაციაზე, უკრაინის მხარდასაჭერად, ან პრობლემურ მოვლენებზე სხვადასხვა ქვეყანაში. ეს გვაჩვენებს, თუ რამდენად რთულია ნორმატიული პოლიტიკური ფილოსოფიიდან, ეთიკიდან პოლიტიკაში გადასვლა. მე გეთანხმებით სრულიად, რომ ჩვენ, როგორც ევროპელებმა, უნდა ვცადოთ ყველა ამ სირთულისა და მსოფლიოში არსებული განსხვავებების გაცნობიერებით, გარკვეული მინიმალური სტანდარტის განხორციელება. დიდი მადლობა.

ილია მარჯანიძე:

ბატონო პროფესორო,

პროფესორმა გურგენიძემ თავის პირველ, ფართოდ დასმულ შეკითხვაში სოლიდარობის ცნება, როგორც დღევანდელი ევროპის ქვაკუთხედი ახსენა. პანდემიამ, სხვა უამრავ მძიმე პრობლემასთან ერთად, რომელთა შედეგებიც კიდევ დიდი ხნის განმავლობაში იქნება საგრძნობი, წინ, კიდევ ერთხელ, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანიც წამოსწია: ადამიანები, თუკი ისინი არ არიან იძულებულნი, არსებითად არ არიან მზად რეფორმირების, ტრანსფორმირების პროცესის განსახორციელებლად.

ევროკავშირი ძალიან ადრე მიხვდა, რა შედეგები შეიძლებოდა ჰქონოდა ევროკავშირის არასოლიდარულ ქმედებებს თითოეულ ქვეყანასთან მიმართებით, პანდემიის პირობებში. სულ რამდენიმე დღის წინ, ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა, ევროპარლამენტში გამოსვლისას, ღიად განაცხადა, რომ ეს შესაძლოა ევროკავშირის დასასრულიც ყოფილიყო.

პანდემიის დასაწყისში ვიხილეთ ნაციონალისტური ქმედებების მოკლენიანი „შემოტევა“ პანდემიისგან ნაკლებად დაზარალებული, ევროკავშირის წევრი ეროვნული სახელმწიფოების მხრიდან, რაც მაგ., საზღვრების ჩაკეტვაში გამოიხატა. თუმცა ასეთი ქმედებების საფრთხე ევროკავშირმა მაშინაც დროულად იგრძნო და კვლავ დაიწყო ისეთი მოქმედება, როგორსაც მისგან ყველა ელოდა, ანუ მოქმედება სოლიდარულად.

ამჟამად, საფრთხე ახალი ფორმით დაბრუნდა და მას ე.წ. „ვაქცინაციის ნაციონალიზმი“ შეგვიძლია დავარქვათ. რამდენიმე ქვეყანა, მათ შორის, ევროკავშირის აწ უკვე ყოფილი წევრი დიდი ბრიტანეთი ცდილობს, რაღაც არ უნდა დაუჯდეს, აცრას თავისი მოქალაქეები. მეორე მხარეს კი ბრიუსელი და ევროკავშირი დგას, რომელიც ამ პირობებშიც კი, როდესაც კოვიდ-საწინააღმდეგო ვაქცინები ასე დეფიციტურია, ცდილობს სოლიდარულად იმოქმედოს და ეს სოლიდარობა ევროკავშირის ერთად ყოფნის კიდევ უფრო გასაძლიერებლად გამოიყენოს.

რას ფიქრობთ თქვენ ე.წ. „ვაქცინაციის ნაციონალიზმზე“ და თქვენი აზრით, გამოუვა კი ევროკავშირს, ასეთ მძიმე დროს, სოლიდარობის დემონსტრირებით, გააჩინოს კიდევ ახალი გზები, ახალი პერსპექტივა ევროკავშირის შემდგომი ინტეგრაციის მიმართულებით?

პროფ. ზდისლავ კრასნოდებსკი:

ბუნებრივია, ეს ძალიან კარგი ილუსტრაციაა იმისა, რომ არსებობს საყოველთაო დილემა, პარტიკულარულობასა და ერთობლივ მოქმედებას, ეროვნულსა და საყოველთაო ინტერესებს შორის, ეგოიზმსა და საერთო ქმედებას შორის, ევროკავშირსა, ეროვნულ ინტერესებსა და კოლექტიურ მიზნებს შორის. ჩვენ ძალიან მრავალფეროვან საზოგადოებებში ვცხოვრობთ. ეს მრავალფეროვნება და ექსისტენციალურ ფენომენტა სიუხვე ხანდახან სოლიდარობის დეფიციტს ამჟღავნებს, მათ შორის, თაობათა შორის. მაგალითად, ბევრ ახალგაზრდას არ მიაჩნია

წესების დაცვა საჭიროდ, ვინაიდან უშუალოდ საფრთხის ქვეშ არ გრძნობენ თავს. პანდემია ცოტა განსხვავდება შავი ჭირისგან, რომელიც კამიუს აქვს აღწერილი, ის არ არის იმდენად ტოტალური, განსაზღვრულ ჯგუფებს ეხება და არა ყველას, ზოგჯერ შეუმჩნეველიცაა.

ბევრ ქვეყანაში სახეზეა დიდი ნაპრალი საზოგადოებრივ ფენებს შორის. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ეპოქა, რომელიც სოციოლოგიურ, ფილოსოფიურ რეფლექსიას მოითხოვს - ვიმედოვნებ, რომ ამ მიმართულებით ჩვენს ქართველ და გერმანულ კოლეგებთან ერთად დისკუსიას გავაგრძელებთ სხვადასხვა ფორმით, მათ შორის ინტერნეტში. დასაწყისში ეს პანდემია ფაქტიურად დიდ საფრთხეს წარმოადგენდა, გამოჩნდა ძლიერი ეროვნული ინტერესი, განსაკუთრებით ვაქცინებთან დაკავშირებით, უფრო დიდ, უფრო ძლიერ სახელმწიფოებს ჰქონდათ მისი მოპოვების საშუალება, ხოლო უფრო სუსტებს, უფრო პატარებს კი - არა. როგორც გახსოვთ, პანდემიის პირველ ფაზაში ევროკავშირის ცალკეული წევრების მიერ მიღებულ იქნა საზღვრების ჩაკეტვის გადაწყვეტილება. გარკვეული აზრით, ეს პანდემია ევროპული ინსტიტუციებისთვის მოულოდნელობა აღმოჩნდა, რის შემდეგაც ითქვა, რომ შემუშავდებოდა საერთო კრიტერიუმები „ლოქდაუნებთან“ დაკავშირებით. ეს არის კარგი მაგალითი, თუ რატომ გვჭირდება თანამშრომლობა ქვეყნებს შორის და ზენაციონალური ინსტიტუციები და წესები.

ახლა შევდივართ სხვა ფაზაში, აცრის პროცესი ისე უპრობლემოდ არ მიდის, როგორც ყველას წარმოგვედგინა. რამდენიმე დღის წინ გერმანიამ ისევ შემოიღო სასაზღვრო კონტროლი ავსტრიასთან, ტიროლთან და ჩეხეთის რესპუბლიკასთან, საუბარია გერმანია-საფრანგეთის საზღვრის ჩაკეტვაზეც, რადგანაც წლის დასაწყისში დაძაბულობა იყო. თუმცა პრობლემაც იმაშია, რომ რეალურად, ჩვენ ბევრ სასაზღვრო მხარეში ურთიერთშეზრდილი ვართ. ევროპელების გარკვეული ნაწილი ცხოვრობს ერთ ქვეყანაში მუშაობს მეორეში და ასევე, მათ ერთმანეთთან მრავალი სხვადასხვა კავშირი გააჩნიათ.

მე მჯერა, რომ კარგი იდეა გახლავთ ვაქცინების ერთობლივად შექმნა და მათი სხვადასხვა ქვეყნებისთვის ერთობლივად დანაწილება. პოლონეთის პრემიერ-მინისტრს ვესაუბრე და მან თქვა, რომ პოლონეთი ვაქცინების შექმნას თავადაც გაართმევს თავს, თუმცა ეს ფინანსებს უკავშირდება და პატარა და ეკონომიკურად სუსტი ქვეყნებისთვის დიდ სირთულეს შექმნის. ამასთან, უნდა ითქვას, რომ არსებობს ცენტრალიზმის ზღვარი. ბატონი მარჯანიძეც, რომელიც ავსტრიიდან, ვენიდან აკვირდება ამ პროცესს, ამას შენიშნავდა. მაგალითად, ხელშეკრულებები, რომლებიც ამ საკითხზე დაიდო, მთლად კორექტულად ფორმულირებული არ არის; მაგალითად, ჩვენც კი, ევროპის პარლამენტის წევრებს არ გვინახავს ჯერ ისინი, მე წავიკითხე, რომ ზოგიერთ ქვეყანას სურს კვოტები ვაქცინებზე, მაგალითად, ბულგარეთს, სხვები სხვა აზრის არიან. პოლონეთის პრემიერმა მიმართა ევროკავშირს, ურსულა ფონ დერ ლაიენს, რომ გვჭირდება დამატებითი ვაქცინები, ვინაიდან უკვე გამოვიყენეთ ის, რაც გვქონდა.

ამით მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ეს ყოველივე აჩვენებს, ევროკავშირის კომპლექსურობას. ჩვენ არ ვართ ერთიანი იმპერია, ცენტრალიზებულად მართული.

ჩვენ გვაქვს კულტურული, ეკონომიკური განსხვავებულობა და მრავალფეროვნება. არსებობს სუბსიდიარობის პრინციპი, რაც იმაში გამოიხატება, რომ ყველაფერს არ მართავს ევროპული კომისია, კავშირის ცენტრალური ინსტიტუცია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი ცენტრალიზებული მმართველობის არარსებობის პირობებში, რაღაც პრობლემები არ შეგვიძლია გადავჭრათ. ასე ვუპასუხებდი, ამ კითხვას, რომ ჩვენ ეს ორივე ასპექტი უნდა გავითვალისწინოთ.

ასოც. პროფ. დავით მახვილაძე:

ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის პრობლემები ევროკავშირის მოქმედების ერთ-ერთი ქვაკუთხედაა. ევროპული სახელმწიფოები ჯერ კიდევ ევროკავშირის შექმნამდე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ პრობლემების სწორად მოგვარებას. ამის დასტურია ჯერ კიდევ 112 წლის წინ შვედეთის მიერ მიღებული ორი კანონი ბუნების დაცვის შესახებ. ჩვენ გვიწევს ჩვენს გარე სამყაროში ცხოვრება, რომელიც ბუნებითი მოცემულობაა. ეკოლოგია დიდწილად კარნახობს ადამიანს მისი საარსებო პირობების შექმნის შესაძლებლობებს, თავის მხრივ, ადამიანები ზემოქმედებენ ბუნებაზე, რათა თავისი საარსებო გარემო ადამიანური მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის შესაფერისი გახადონ. კეთილდღეობისკენ და ფინანსური მოგებისაკენ მუდმივი სწრაფვა მსოფლიო საზოგადოებისა, ხშირ შემთხვევაში გაუაზრებელი ნაბიჯების გადადგმა, რომელსაც შედეგად ეკოლოგიური დისბალანსის შექმნა მოყვება, უკვე ცალსახაა, რომ უარყოფით გავლენას ახდენს ჩვენს საარსებო გარემოზე, როგორც პოლიტიკურზე, ისე ეკონომიკურზე და, რა თქმა უნდა, ეკოლოგიურზე. ბუნებრივი სამყარო მის მიმართ განხორციელებულ არასწორ ქმედებებზე, როგორც წესი, მყისიერად რეაგირებს. ყველა ეპიდემია, მათ შორის covid-19-ის პანდემიაც, ეკოლოგიურ პრობლემას განეკუთვნება. შესაძლოა, სწორედ ისიც ბუნების მიმართ ადამიანის არასწორი ქმედების შედეგია. ამიტომ, კაცობრიობამ არა მხოლოდ ფორმალური აგრემოსდაცვითი კანონებით უნდა იხელმძღვანელოს, არამედ, ჩემი აზრით, უნდა გამოიმუშაოს არსებობის ჰუმანისტურ-ეკოლოგიური პრინციპები. ევროკავშირი არა მარტო თავის საზღვრებში ახორციელებს ამ პრინციპებს, არამედ სხვა სახელმწიფოებსაც ეხმარება ეკოლოგიური პრობლემებისა და გამოწვევების გაანალიზებასა და მოგვარებაში. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, სამეზობლო საინვესტიციო პლატფორმის (NIP) საშუალებით, სერიოზულ ფინანსურ მხარდაჭერას უწევს. ამ პლატფორმიდან გაცემული ფინანსური მხარდაჭერის 25% ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველოსთვის სწორედ „მწვანე ინიციატივისთვის“ იყო გათვალისწინებული. ევროკავშირი, ასევე, მხარს უჭერს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს კლიმატის ეროვნული გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში. ამასთან, ყველა ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი პრობლემის გადაწყვეტის გზები, როგორც წესი, აკადემიურ სივრცეში წარმოიშვება და შემდგომ მუშავდება. ამ თვალსაზრისით, უმაღლეს სასწავლებლებს მნიშვნელობა ენიჭებათ არა მხოლოდ, როგორც წმინდად აკადემიურ

დაწესებულებებს, არამედ როგორც საჯარო საზოგადოებრივ ინსტიტუციებს. როგორ ფიქრობთ, რა მიმართულებით უნდა წარიმართოს ევროკავშირის ეკოლოგიური პოლიტიკა უახლოეს პერიოდში და რა როლი ექნებათ ამ პროცესში უნივერსიტეტებს?

პროფ. ზდისლავ კრასნოდებსკი:

ვიტყოდი, რომ მართალი ბრძანებით, კლიმატის პოლიტიკა - „green deal“ დგას ევროპული პოლიტიკის ცენტრში, რომელიც განსაზღვრავს ფაქტიურად სხვა ყველაფერს: ეკონომიკას, პოლიტიკას და ა.შ. ეს ყველაფერი დამოკიდებულია პარიზის ხელშეკრულებაზე და იმაზე, რომ ჩვენ გლობალური პრობლემები გვაქვს, ურსულა ფონ დერ ლაიენმა, როდესაც ის გახდა ევროკომისიის პრეზიდენტი, აღნიშნა, რომ „Green Deal“, დიგიტალიზაციასთან ერთად, უნდა იქცეს კომისიის უმნიშვნელოვანეს პროგრამად. პანდემიამ, რომელზეც ვისაუბრეთ, ეს მოცემულობა ცოტა შეცვალა, დღის წესრიგში დადგა ახალი ამოცანა: ეკონომიკის თავიდან აღმშენებლობის საჭიროება და საკითხავია, თუ რამდენად თავსებადია ეს პრიორიტეტები ერთმანეთთან, როგორ უნდა მოვახერხოთ, ერთი მხრივ, კრიზისის დაძლევა, რომელიც პანდემიითაა გამოწვეული და მეორე მხრივ, ამ „Green Deal“-ის მიზნების მიღწევა. ევროპარლამენტში მე ჩართული ვარ მოლაპარაკებებში კლიმატის ახალ სამართალთან დაკავშირებით. ის გულისხმობს 2030 წლისთვის ემისიების უფრო მეტად შეზღუდვას, რამაც 2050 წლისთვის იქამდე უნდა მიგვიყვანოს, რომ გვექნება ეკონომიკა, რომელიც იქნება ბალანსში გრინჰალის გაზის გამოყოფასა და მის ათვისებას შორის.

სიახლეს წარმოადგენს ის, რომ აქცენტი გაკეთდება ისეთ სექტორებზე, რომლებიც აქამდე უგულვებელყოფილი იყო: სოფლის მეურნეობასა და ტრანსპორტზე. საუბარია ელექტრონულ ტრანსპორტზე გადასვლის ზოგად ტენდენციაზე, ელექტროენერჯის წარმოებაზე, ნახშირის ჩანაცვლებაზე გაზით, გაზის კი განახლებადი ენერჯით. თქვენ კითხულობთ, რა როლი უნდა ითამაშონ უნივერსიტეტებმა? ვფიქრობ, საკვანძო როლი. ერთი მხრივ, გვჭირდება სამეცნიერო უზრუნველყოფა, ახალი ტექნოლოგიებისთვის ტექნიკური უნივერსიტეტების მხრიდან, ვინაიდან საუბარია თუნდაც ვაქცინებზე, საწვავის ჩანაცვლებაზე, ახალი ტიპის ძრავების განვითარებისთვის ახალი ენერჯის წყაროების, მაგალითად, წყალბადის საწვავის განვითარებაზე. ეს დიდი ამოცანებია ტექნიკური ფაკულტეტებისთვის და საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობაც, ამ მხრივ, დიდია. ამასთან, მე ვიტყვოდი, რომ ჩვენ „ბუნებრივი ინტელექტის“ პოტენციალი უნდა გამოვიყენოთ, რაც მთელ ევროპაში მოგვეპოვება.

პრობლემა, რითაც ასევე დაკავებული ვარ, არის ევროპული პროგრამები „ჰორიზონტი 2022“. ამ შემთხვევაშიც მე ვხედავ, რომ არსებობს არათანასწორი განაწილების პრობლემები. მაგალითად, ჩემი ქვეყანა მეტს იხდის, ვიდრე იღებს, ჩვენ ვართ ნეტო-გადამხდელები. ცამეტი ქვეყანა, ე.წ. ახალი წევრები, ისე არ არიან წარმოდგენილნი ამ პროგრამაში, როგორც ისურვებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ

ჩვენ პოლონეთში ავაშენეთ ინფრასტრუქტურა, არსებობს გარკვეული ბარიერები ყველა ევროპელის პოტენციალის გამოყენების გზაზე, კვლევითი ლოკაციებისა და ტვინების დენადობის კუთხით. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია თანამშრომლობა ამ სფეროში, განსაკუთრებით ახალგაზრდა მკვლევრების და სტუდენტების გაცვლითი პროგრამები და მათი სოციალური დასაქმება. ეს მოითხოვს ადამიანთა მიმართებების ადაპტირებას მოცემული პირობებისადმი და იმის გაცნობიერებას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს პრობლემები, ესენია: ეთიკური, გარემოსდაცვითი, ტექნიკური პროგრესის და ა.შ. ჩვენ დღეს ვამბობთ, რომ ყველაფერი სმარტი/ჰკვიანი უნდა იყოს, გვაქვს ჰკვიანი ქალაქები, ჰკვიანი გაზსადენები, სმარტ-მაცივრები. ზოგჯერ მგონია, რომ ჩემი ახალი ავტომობილი უფრო ჰკვიანია, ვიდრე მე, როცა ვუყურებ, როგორ დადის, დისტანციას როგორ იკავებს და ა.შ. მაგრამ ამ ყველაფერს თავისი გარკვეული შედეგები აქვს კაცობრიობისა და მისი ავტონომიისთვის. სწორედ აქ იძენს მნიშვნელობას სოციალური მეცნიერებები და სოციალური მეცნიერები, რომლებიც გვაჩვენებენ, თუ რა შედეგი მოაქვს ინტერნეტის, ხელოვნური ინტელექტის ზემოქმედებას ჩვენს კომუნიკაციაზე. ამიტომ, გესაჭიროება ეთიკა, ფილოსოფია, რომლებიც გამოიმუშავენ გარკვეულ ნორმებს და რეგულაციებს, რაც მოსახლეობამ უნდა დაიცვას. ჩვენ ვსაუბრობთ თავისუფლებაზე, მათ შორის თავისუფლებაზე ინტერნეტში, თუ რა როლი აქვს სოციალურ ქსელებს: ტვიტერს, ფეისბუქს და ა.შ. ბოლო დროს იყო გაცხარებული დებატები ევროკავშირში, ევროპის პარლამენტშიც კემბრიჯის ანალიტიკოსზე და გამოირკვა, რომ ის დიდ სარგებელს ნახულობდა ინტერნეტში ადამიანებით მანიპულირებისას. ტექნოლოგიები გვეხმარება კლიმატის პრობლემის დაძლევაშიც, მაგრამ ზოგჯერ, ნეგატიურ გვერდით მოვლენებს იწვევს. ნეგატიური შედეგები, გარკვეულ შემთხვევებში, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ იჩენს ხოლმე თავს - სწორედ ამისთვის გვჭირდება მეცნიერება. ყველა პროგრამა, რომელიც ახლა ყალიბდება და კლიმატს უკავშირდება, მოითხოვს ევროკავშირის ახალ რეგულაციებს ან ცვლილებებს არსებულ რეგულაციებში და ეს საჭიროებს დახმარებას მეცნიერებისა და უნივერსიტეტებისგან.

პროფ. დავით გურგენიძე:

კორონავირუსის მიერ დღის წესრიგში დაყენებულ საკითხთა შორის ერთ-ერთი უმთავრესია, მოთხოვნის გაზრდა მეცნიერებისა და შესაბამისად, სწავლულ ექსპერტთა მიმართ. Covid-19-მა გამოიწვია მთელი ჩვენი ადამიანური საარსებო სივრცის კრიზისი. ის შეეხო ყველა იმ ფენომენს და სისტემას, რომლებიც ადამიანად, ანუ მოაზროვნედ და მოქმედად ჩვენს ყოფნას განსაზღვრავს. ამიტომ, არა მხოლოდ მეცნიერ-ეპიდემიოლოგთა გამოწვევაა ის და არა მარტო მათგან ელის კაცობრიობა „შველას“, არამედ ამ გლობალურ-კომპლექსური პრობლემის გადაწყვეტაში ჩართულნი არიან, როგორც საბუნებისმეტყველო, ისე ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერების სწავლული ექსპერტები და ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ თანამშრომლებენ. ჩემი აზრით, მხოლოდ ასეთი კოოპერაციის პირობებში, როდესაც ყველაფერი, რაც რელევანტურია, კვლევის საგანი იქნება, შეგვიძლია მივალწიოთ

თანამედროვე განმანათლებლობის მიზანს, კონკრეტულად კი, როგორც ფილოსოფოსი მარკუს გაბრიელი იტყოდა, მეცნიერების ეკონომიკის და სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობას. მათ ერთად უნდა ითანამშრომლონ, რათა ყველაფერი გაკეთდეს მორალურად მართებული, რაც ამგვარი კოოპერაციის უმთავრესი მიზანი უნდა იყოს. ანუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მორალურობის ინსტიტუციური განხორციელება შესაძლებელია. საზოგადოებისთვის ყველა რელევანტური თემის დამუშავება კი, მხოლოდ ტრანსდისციპლინური ფორმითაა შესაძლებელი. ამის განხორციელება, ჩემი აზრით, უნივერსიტეტების ახლებური ორგანიზებითაა შესაძლებელი. არა მარტო კვლევა უნდა ატარებდეს ტრანსდისციპლინურობის ხასიათს, არამედ სასაწავლო პროცესისთვის აუცილებელი კურიკულუმები უნდა იყოს ამ საფუძველზე განხორციელებული, რა დროსაც მთავარი მიზანი საზოგადოებისთვის საჭირო რეკომენდაციების გაცემა იქნება. ამ კრიზისმა დაგვანახა, რომ უნივერსიტეტები სწორედ საზოგადოებისთვის ვართ საჭირონი და თავად უნივერსიტეტი ღია საზოგადოებრივ სივრცეს წარმოადგენს. ამ პროცესის წარმართვისთვის, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აკადემიური სივრცის ინტერნაციონალიზაცია, რაშიც ჩვენს მთავარ პარტნიორად ევროკავშირს მოვიაზრებთ. მხოლოდ ამ კოოპერირების საფუძველზეა შესაძლებელი განვითარებადი ქვეყნისათვის, რომელთა რიცხვსაც ჩვენც განვეკუთვნებით, უახლოეს მომავალში დავიმკვიდროთ ადგილი ევროპულ პოლიტიკურ, სოციალურ და აკადემიურ სივრცეში. რა იქნებოდა თქვენი კონკრეტული რეკომენდაციები ამ მიმართულებით?

პროფ. ზდისლავ კრასნოდებსკი:

გმადლობთ, ბატონო რექტორო. ამ კითხვაზე გარკვეულწილად უკვე გავეცი პასუხი, აქ მინდა ხაზი გავუსვა ინტერნაციონალიზაციის, საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობას, რათა რაც შეიძლება სწრაფად და სიღრმისეულად იქნას გაზიარებული ცალკეული ქვეყნის მიღწეული კვლევების დარგში. ჩემთვის ეჭვგარეშეა, რომ საქართველო არის ევროპული სახელმწიფო თავისი დიდი კულტურული ტრადიციებით, რომელთა რიგს, რა თქმა უნდა, ინტელექტუალურიც განეკუთვნება. თბილისი არის ცალსახად ევროპული ქალაქი. ევროპის ძლიერი მხარე სწორედ ის არის, რომ მისი ეს მრავალფეროვნება, ეროვნული და სამეცნიერო ტრადიციები, ყველა ინტელექტუალური მიმართულება რაც ამ სივრცეში არსებობს, რომელთაც, ბუნებრივია, საერთო მახასიათებლები გააჩნიათ, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებულად რეალიზდებიან, მათ ინტელექტუალურ კონტექსტში ის მნიშვნელობა ახასიათებთ, რომ ურთიერთგაზიარებადია. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ამ კონტექსტში ქვეყნების სიდიდეს არ ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა და სწორედ შემთხვევითი არ არის, რომ ფილოსოფია ძველ საბერძნეთში განვითარდა და არა დიდ იმპერიებში, სწორედ იმ ერთობაში, რომელსაც მრავალფეროვნება ახასიათებდა, ანუ ბერძნულ პოლისურ კულტურაში. სწორედ ამიტომ მჯერა, რომ მნიშვნელოვანია, როგორც უკვე აღვნიშნე, ურთიერთგაზიარება; ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ის პოტენციალი, რაც არსებობს ყველა ქვეყანაში. ამასთან,

ხაზგასასმელია, რომ კვლევა მნიშვნელოვან ფინანსებთანაც არის დაკავშირებული: საჭიროა ლაბორატორიები, საერთაშორისო პროექტები, რაც საშუალებას მისცემს გამოვლინდეს ადამიანთა ინტელექტი და გამომგონებლური ნიჭი. ეს უნდა გავაკეთოთ და ევროკავშირის სამეცნიერო პროგრამების როლიც აქეთ უნდა იყოს მიმართული. ალბათ აღმოსავლეთ პარტნიორობაზეც ვიტყვით რამდენიმე სიტყვას: ამ პროგრამების მიზანი უნდა იყოს ამ მატერიალური შესაძლებლობის სფეროში არსებული თეთრი ლაქების ამოვსება. თქვენ ისაუბრეთ უნივერსიტეტზე, როგორც თავისუფლების ადგილზე, სანამ ევროპარლამენტარი გავხდებოდი, მთელი ცხოვრება უნივერსიტეტებში მაქვს გატარებული, ვინაიდან ის ჩემთვის იყო თავისუფლების ადგილი - იდეების, აზრების თავისუფალი გაცვლის ადგილი, და ეს ჩვენ უნდა დავიცვათ და განვავითაროთ, რადგან დღეისათვის ის, გარკვეულწილად, საფრთხეშია და ალბათ, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ პოლონეთშიც და სხვა დასავლურ ქვეყნებშიც, ისეთებშიც კი, როგორებიცაა გერმანია და აშშ. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ აშშ-ის უნივერსიტეტები სანიმუშო უნივერსიტეტებია, მაგრამ იქაც ადგილი აქვს ისეთ გამოვლინებებს, რომლებიც შეშფოთებას იწვევს სწორედ სწავლების თავისუფლებასთან დაკავშირებით. ასეთი მაგალითები გერმანიაშიც მოიძებნება. ეს იმ თაობის ახალგაზრდა ადამიანებისგან მოდის, რომელსაც სამყაროს ზედმეტად სწრაფი „გაუმჯობესება“ სურთ, არსებობს ასეთი cancel culture-ის გამოვლინებები, რომელთა მესვეურებს სურთ ისტორიის თავიდან დაწერა, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია [მისი] გაუმჯობესება. მაგალითად, არსებობს ხალხი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ უინსტონ ჩერჩილი ფაშისტი იყო, ვინაიდან ის სრულიად სრულყოფილი ადამიანი არ ყოფილა. მსგავსი შეხედულებები საფრთხეს წარმოადგენს. და სამწუხაროდ, ამ ტენდენციას ვხედავთ ისტორიულ, სოციოლოგიურ და ა.შ. კვლევებში. გარკვეული თემების კვლევისას ზოგიერთი ფაქტის გამორიცხვისა და გამარტივების სურვილი ჩანს. როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ჩანდეს, იმ ქვეყნების წვლილი, რომლებმაც რაღაც დრო კომუნისტური რეჟიმის ქვეშ დაჰყვეს, შეიძლება სასარგებლოც კი იყოს ამ თეთრი ლაქების ამოსავსებად, ვინაიდან ისინი მრავალი საკითხისადმი განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან და მე მჯერა, რომ აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ინტელექტუალური გაცვლა-გამოცვლა, ინტერნაციონალიზაცია და შანსების გათანაბრება დაჩქარდეს. ერთ-ერთ პრობლემად ამ გზაზე წარმომიდგენია, როგორც ექსპერტები საუბრობენ ე.წ. old boys network-ები, დახშული ჯგუფები ან ცალკეული უნივერსიტეტები, რომლებიც დიდი ხანია მხოლოდ ერთმანეთთან თანამშრომლობენ, არიან ჩაკეტილნი მხოლოდ გარკვეულ კვლევით სფეროებში და ძალიან რთულია გარედან ამ სივრცეში მოხვედრა.

ეს პრობლემა ჩემს ქვეყანას, პოლონეთსაც ეხება, სადაც საკმაოდ კარგი კვლევითი ჯგუფებია, რომლებიც სიამოვნებით გავიდოდნენ საზღვრებს გარეთ კოლაბორაციისთვის, თუმცა ეს ფინანსური გარემოებებით არის შეფერხებული. ჩვენ ეს ბარიერებიც უნდა მოვიშოროთ, ისევე როგორც პრეიუდიციები, ანუ მაგალითად, რომ საქართველო არის მხოლოდ ეგზოტიკური ქვეყანა. საქართველო კი ჩემთვის ისევე მდებარეობს ევროპის გულში, როგორც საფრანგეთი.

ასოც. პროფ. დავით მახვილაძე:

მე გავაგრძელებდი ბატონი პროფესორ გურგენიძის კითხვას თანამედროვე დასავლური საუნივერსიტეტო აკადემიური სივრცის განვითარებასთან დაკავშირებით, რომლის ნაწილადაც საქართველო თავის თავს მოიაზრებს. როგორც ვიცით, თანამედროვე აკადემიური სივრცის განვითარება აღინიშნება ორი მიმართულებით, როგორებიცაა ტრადიციული შიდა საუნივერსიტეტო სტრუქტურები: ფაკულტეტები და მისი ქვე-სტრუქტურული ერთეულები (სამეცნიერო-სასწავლო კვლევითი ინსტიტუტები, კათედრები და ა.შ.), ხოლო მეორე მხრივ, ე.წ. ფაკულტეტების მიღმა წარმოშობილი და განვითარებული ინსტიტუციები, როგორებიცაა სწავლების სხვადასხვა საფეხურისთვის განკუთვნილი კოლეგიები (გრადიუირებული სკოლები და მაგისტრანტთა და დოქტორანტთა სასწავლო სამეცნიერო კლასტრები). კვლევის წარმოების შიდა საუნივერსიტეტო თუ უნივერსიტეტაშორისი რეგიონული თუ ინტერნაციონალური ქსელები (ექსელენტ კლასტრები, მაღალი რანგის კვლევითი ინტერდისციპლინური ინსტიტუტები). ერთის მხრივ, არსებობს დინამიკური თემატური განვითარების მოთხოვნა, სწორედ რისთვისაც აუცილებელია ტრადიციული სტრუქტურების შენარჩუნება, ხოლო მეორე მხრივ, კი არსებობს ახალ სტრუქტურებთან კოორდინირების მოთხოვნა. როგორ გესახებათ თქვენ ევროპული უნივერსიტეტაშორისი კოოპერაციის მომავალი და მათი განვითარების პრინციპები ევროპასა და ევროინტეგრაციისკენ მსწრაფი ქვეყნებისთვის?

პროფ. ზდისლავ კრასნოდებსკი:

ეს გახლავთ კითხვა, რომელიც ასევე, უნივერსიტეტების განვითარებას ეხება, თუ როგორ უნდა იყვნენ ისინი დღესდღეობით სტრუქტურიზებული. ჩვენც გვაქვს პოლონეთში მსგავსი პრობლემები უნივერსიტეტის რეფორმირების კუთხით, ჩვენ გვსურს ისინი სტრუქტურულად უფრო მოქნილი გავხადოთ. პროფესორი ბერიაშვილი ორი წლის წინ ბრძანდებოდა ვარშავაში, ჩვენ შევხვდით მინისტრს, ჩემს ნაცნობს, რომელიც მაშინ ამ გამოწვევების და გასატარებელი რეფორმების წინაშე იდგა. მას სწორედ სურდა, რომ ეს გაშეშებული სტრუქტურები, ფაკულტეტები, ინსტიტუტები უფრო მეტად გახსნილი ყოფილიყო და მათ საქმიანობაში თანამედროვე მენეჯმენტი შესულიყო. ვფიქრობ, ეს მართლაც საჭირო და საშური საქმეა, ამისთვისაა საჭირო სწორედ ახალი კვლევითი პროექტები, უფრო მეტი გრანტები...

ეს, თავის მხრივ, მოითხოვს ტრადიციული აკადემიური იერარქიის დეკონსტრუქციას, რაც ცვლის მიმართებებს მეცნიერთა თაობებს შორის. ხოლო რაც შეეხება ინტერანციონალიზაციას, უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის, განსაკუთრებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, საკმაოდ ინტერნაციონალურ საზოგადოებას წარმოადგენს. იზრდება მოთხოვნა იმ რანგის პუბლიკაციებისა, რომლებიც მაღალი რანგის რეცენზირებად ჟურნალებში ქვეყნდება. მაგრამ ამ პროცესს აქვს პრობლემური მხარეებიც. მაგალითად, ჩემს ქვეყანაში მიდის კამათი,

უნდა გაიმიჯნოს თუ არა ერთმანეთისგან საბუნებისმეტყველო, საინჟინრო და სოციალურ-ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიდგომები, რადგან ჰუმანიტარულ მეცნიერებებს, მათთვის დამახასიათებელი მიზნები აქვთ, რომლებიც განსხვავდება საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მეცნიერებებისგან, მაგალითად, პირველნი, ჩემი აზრით, უნდა ზრუნავდნენ საკუთარ ტრადიციებზეც. ამ შემთხვევაში, თანამედროვე უნივერსიტეტების ტრადიციული სტრუქტურები კვლავაც ფუნქციონალურნი არიან. აქ შემიძლია მოვიყვანო ერთი მაგალითი, ჩვენთან არსებობს დიდი პროექტი მე-16 საუკუნის ცნობილი პოლონელი პოეტის იან კოჰანოვსკის ახალი გამოცემისა, გარდა პოლონელი სპეციალისტებისა, სულ რამდენიმე მკვლევარი არსებობს პოლონეთის ფარგლებს გარეთ, მთელ მსოფლიოში, მაგრამ ჩვენთვის, პოლონელებისთვის ეს ძალზე მნიშვნელოვანი პოეტია. მიუხედავად იმისა, რომ ის შეიძლება არ იყოს მსოფლიო უნივერსალურ ღირებულებებზე ორიენტირებული მოაზროვნე (თუმცა ყველა დიდი მოაზროვნე უნივერსალური ღირებულებების მატარებელია), ის ჩვენი იდენტობისთვის მნიშვნელოვანი ფიგურაა. და ამ შემთხვევაში, ნაკლები მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს იმას, გამოქვეყნდება თუ არა მის შესახებ ნაშრომები და მისი ნაწარმოებები ინგლისურ ენაზე.

თავისთავად უნდა გვესმოდეს, რომ ყველა განსხვავებულ დისციპლინას თავისებურებები გააჩნია. მაგრამ ამავე დროს, მნიშვნელოვანია ინტერდისციპლინური კვლევების განვითარება, განსაკუთრებით, რაც შეეხება დიგიტალიზაციას, ხელოვნურ ინტელექტს და ა.შ. მაგრამ ეს არა მხოლოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საქმეა, არამედ, რადგანაც მათ გარკვეული სოციალური შედეგები აქვთ, აუცილებელია სოციალ-თეორიული, სოციოლოგიური და ეთიკური კვლევები ამ მიმართულებით. როგორც ვთქვი, ჩემი აზრით, ეს არა მარტო ჩვენი ქვეყნების პრობლემაა, არამედ ბევრად უფრო განვითარებული ქვეყნებისაც. ჩვენს ქვეყანას არ ჰყავს საკმარისი კერძო სპონსორები, ჩვენი ინდუსტრია არ არის ორიენტირებული მეცნიერების განვითარებაზე. სავარაუდოდ, საქართველოშიც ასეა საქმე. მახსენდება დისკუსია კემბრიჯში, 3 წლის წინ, ეს ცნობილი უნივერსიტეტი ეყრდნობა, გარდა სახელმწიფო მხარდაჭერისა, კერძო პირთა მონაწილეობას, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სხვადასხვა დარგის განვითარებაში. მაგალითად, ფარმაცევტული ან ქიმიურ მრეწველობასთან დაკავშირებული ფირმები, მათ გააჩნიათ თავიანთი ლაბორატორიები, ხელს უწყობენ მეცნიერების მომზადებას. ჩვენს ქვეყნებსაც ესაჭიროებათ მეტი კონტაქტები, უნივერსიტეტებს, კვლევით დაწესებულებებსა და ინდუსტრიას შორის. ეს პრობლემა განსაკუთრებით თვალში საცემია საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მეცნიერებებთან მიმართებით. რაც შეეხება ჰუმანიტარულ მეცნიერებებს, მჯერა და ესეც მნიშვნელოვანია ევროპისთვის, რომ ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ჩვენს ტრადიციებზე, როგორც ევროპული ტრადიციების ნაწილზე. მაგალითად, საქართველოში ყოფნისას ვეძებდი საქართველოს შესახებ წიგნს პოლონურ ენაზე და არამარტო პოლონურ ენაზე, არამედ სხვა გავრცელებულ ენებზეც კი ამ ტიპის წიგნის პოვნა საკმაოდ პრობლემურია, თუნდაც ამაზონის პლატფორმაზე ასეთი წიგნების პოვნა საკმაოდ რთულია. ასეთივე სიტუაციაა პოლონეთის შესახებ პუბლიკაციებთან დაკავშირებით. ევროპის პარალმენტშიც ხშირად უკითხავთ ჩემთვის, რომელი წიგნი

შემიძლია ვურჩიო პოლონეთზე, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს მატულობს ასეთი წიგნების რაოდენობა, შეიძლება ითქვას, რომ ისინი მაინც დეფიციტურია. ჰუმანიტარული მეცნიერებების ერთ-ერთი ამოცანა, ჩემი აზრით, სწორედ ამ ტიპის ინტერნაციონალიზაციაშია. პროფესორი ბერიაშვილი დამეთანხმება, რომ შეუძლებელია გერმანულ ფილოსოფიაზე წიგნის დაწერა გერმანული ენისა და ისტორიის ცოდნის გარეშე, მაგრამ არსებობს ხალხი, რომელიც ჩემს ქვეყანაზე წერს ისე, რომ პოლონურს არ ფლობს, ქვეყანას არ იცნობს. არსებობს იმგვარი უმეცრება, რომელიც ჩვენი დასამარცხებელია და ეს იქნება ჩვენი წვლილი ევროპაში.

ილია მარჯანიძე:

ახალს ვერაფერს ვიტყვი, კიდევ ერთხელ თუ აღვნიშნავ, რომ საქართველოს ევროპული ორიენტაცია ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების ცივილიზაციური არჩევანია. ნებისმიერი თანამედროვე გამოკითხვა ადასტურებს ამას დღეს და მთელი ჩვენი ისტორია კი, საქართველოს ევროპისადმი კუთვნილების პერმანენტული დადასტურებაა.

საქართველო აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივის ე.წ. ფრიადოსანი მოსწავლეა. მართალია, ამ ფარგლებში თანამშრომლობის უკვე რამდენიმე ხელშესახები შედეგი არსებობს, მაგ. როგორებიცაა: ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, შენგენის შეთანხმების წევრ ქვეყნებთან საქართველოს მოქალაქეების უვიზო მიმოსვლის დაწყება, ევროკავშირის ასოცირებული წევრობა და ასოცირების შეთანხმების საკმაოდ ამბიციური დღის წესრიგი, თუმცა მუდმივად ცვალებად გარემოში, განსაკუთრებულად ჩვენს რეგიონში მიმდინარე ცვლილებების პირობებში, მიგვაჩნია, რომ მოვიდა დრო, საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობების კიდევ უფრო მეტად გაღრმავებაზე ვიფიქროთ.

ასეთ ინსტრუმენტად, ჩემი აზრით, შესაძლოა გამოდგეს ე.წ. აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივის წევრი სამი ქვეყნის, ე.წ. ტრიოს, Trio 3AP - საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვასთვის ინტეგრაციის მეტი შესაძლებლობების შეთავაზება, ამ ინიციატივის ფარგლებში არსებული დიფერენციაციის პრინციპზე დაყრდნობით.

ამის ერთ კონკრეტულ შესაძლებლობად შესაძლოა განვიხილოთ ევროკომისიასთან თემატური, მაგ.: ტრანსპორტის, ენერგეტიკის, დიგიტალური ტრანსფორმაციის, სამართალწარმოებისა და სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებებით დიალოგის გაღრმავება.

ასევე, ჩვენი მოკავშირეების მხრიდან საქართველოს ჩართვა რეგიონალურ ფორმატებში, ისეთში, როგორიც შეიძლება იყოს Trio 3AP-ის მონაწილეობა V4 ვიშეგრადის ქვეყნების სადისკუსიო ფორმატებში, რასაც, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, პოლონეთი მხარს უჭერს. ეს შესაძლოა ძალიან სასარგებლო მხარდაჭერა აღმოჩნდეს.

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს მხრიდან ოფიციალურად დეკლარირებული მიზანია, 2024 წელს გაკეთდეს განაცხადი, საქართველოს

ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. მანამდე კი, მიმაჩნია, რომ აუცილებელია დარჩენილი დროის გამოყენება ორივე მხარის, ევროკავშირისა და საქართველოს მიერ, რათა უფრო გავაღრმავოთ ჩვენი ურთიერთობები.

როგორ ფიქრობთ, რა კონკრეტული შესაძლებლობები და კონკრეტული მიმართულებები არსებობს, რომლებიც საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების სურვილს კიდევ უფრო დაუჭერდა მხარს და ამ მიმართულებით ჩვენს სვლას კიდევ უფრო შეუქცევადს გახდიდა? მოგეხსენებათ, რომ ძალიან ძლიერდება ანტი-ევროპული და ანტი-დასავლური პროპაგანდა რამდენიმე სახელმწიფოს მხრიდან, რომლებსაც თქვენ ძალიან კარგად იცნობთ, რაც როგორც ჩვენთვის, ასევე ევროკავშირისთვის სერიოზულ საფრთხეებს შეიცავს.

გთხვავთ, როგორც ევროკავშირის მაღალი რანგის წარმომადგენელმა, ჩვენთან ერთად იფიქროთ იმ გზებსა და შესაძლებლობებზე, რომლებიც ამ საფრთხეებსაც შეძლებისდაგვარად აგვარიდებდა თავიდან და ჩვენს კიდევ უფრო დაახლოებასაც აქტიურად შეუწყობდა ხელს.

პროფ. ზდისლავ კრასნოდებსკი:

დიდი მადლობა ამ კითხვისთვის, ის მაგონებს დროს, როდესაც ჩვენს შევდიოდით ევროკავშირში, ოთხმოცდაათიან წლებში. მაშინაც ისმოდა სკეპტიკური ხმები დასავლეთ ევროპაში. მაშინ იყო ბევრი საუბარი - სადამდე შეიძლება გაფართოვებულიყო ევროკავშირი აღმოსავლეთით, მახსოვს სლოვაკეთი განიხილებოდა სუსტ მხარედ, ხოლო უნგრეთი იყო მაშინ სანიმუშო მოსწავლე.

იგივე მეორდება ახალ სიტუაციაში. ევროკავშირის მხრიდანაც ვხედავთ ერთგვარ დაღლილობას გაფართოების მიმართულებით. არ არის საიდუმლო, რომ არსებობს პატარა ევროკავშირის მომხრე ქვეყნები, სადაცაა ერთგვარი ნოსტალგია და მოსახრება, რომ ევროპა ზედმეტად გაფართოვდა. არსებობს ასეთი თეზისი, რომელიც პოლიტიკურ მეცნიერებებშიც გვხვდება: ბექსლაიდინგ/ უკუგადადგმული ნაბიჯების, რომ სახეზეა რეგრესი აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში. წარმოქმნილია პრობლემები დემოკრატიათა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით და ეს ქმნის ერთგვარ პრობლემებს. თუმცა ეს სხვა საკითხია. მე როდესაც ვიყავი ევროპის პარლამენტის ვიცე-პრეზიდენტი, ვკურირებდი აღმოსავლეთ სამეზობლოს საკითხებს და კარგად ვხედავდი, რამხელა განსხვავებაა წევრ ქვეყნებს შორის ამ საკითხთან დაკავშირებით. არსებობენ ფრაქციები, ქვეყნები, რომლებიც მეტად არიან დაინტერესებული აღმოსავლეთ პარტნიორობით და საუბრობენ შესაძლო, ნაბიჯ-ნაბიჯ ინტეგრაციაზე. მაგრამ ეს კიდევ უფრო რთული პროცესია, ვიდრე ძველი აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის თანამშრომლობა.

ინტეგრაციის მიმართულებით გერმანელების პოზიცია არის პოზიტიური. ასეთია ჩემი ქვეყნის პოზიცია. ვიშეგარდის ქვეყნები ახსენეთ, ეს ფორმატი 30 წელს ითვლის უკვე და მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს მოლაპარაკებათა მაგიდასთან ევროკავშირში. ადრე ეს უფრო ლოკალური დანიშნულების ჯგუფი იყო, თუმცა

ბოლო ხანს მნიშვნელოვან მონაწილედ იქცა. ხორვატიასთან ჩამოვყალიბეთ სამი ზღვის ინიციატივა, აღმოსავლეთის და ადრიატიკის ზღვების მიმართულებით.

ძალიან მნიშვნელოვანია ის, რასაც ცდილობს როგორც ჩემი ქვეყანა, ისე პირადად მე: ეს არის გაფართოება აღმოსავლეთით, მომავალში. არ ვიცი, როგორ პერსპექტივაშია ეს შესაძლებელი, მაგრამ ვემხრობი თანამშრომლობის გაღრმავებას უკრაინასთან, საქართველოსთან და ვიმედოვნებ ბელორუსთან და სხვა ქვეყნებთან ამ ურთიერთობის დაწყებას. ამ შემთხვევაში, ჩვენ ერთ მხარეს ვართ და ამას ჩვენს ამოცანად მივიჩნევთ. მაგრამ ამასთან, მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნებისა და კოლეგების აზრიც, მაგალითად, საფრანგეთს აინტერესებს გაფართოება სამხრეთით, იქ ხედავს თავის მთავარ ინტერესს.

თქვენ ასევე ახსენეთ, რომ საქართველო მიისწრაფვის თავისი ცივილიზაციური არჩევანის რეალიზაციისკენ, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ სანამ რუსეთი პრობლემას წარმოადგენს, ეს სინამდვილეში არჩევანი არ არის ეს - უალტერნატივობაა ქვეყნისათვის.

მე არ შემიძლია თქვენთვის ჩემი აზრის თავს მოხვევა, მაგრამ ერთი რამ ცალსახაა, ყველა მეზობელთან სასურველია კარგი ურთიერთობის ქონა. თუმცა, როგორც ჩვენთვის არ იყო არჩევანი იქით სვლისას, საითაც ვგრძნობდით და ეს იყო გაცნობიერებული აქტი, რომ ჩვენი ადგილი ევროპაში იყო, რა თქმა უნდა, მთელი პრობლემებით, კრიტიკით და დაძაბულობით, ამასთან, იმის გაცნობიერებით, რომ ეს არ არის სამოთხე, არამედ ჩვეულებრივი ადამიანური საზოგადოება და ეს არის ეროვნული თავისუფლებით ნაკარნახები არჩევანი და გზა ეროვნული თავისუფლებისკენ, რაც არამც და არამც არ ნიშნავს, რომ ამ თავისუფლებისთვის შემდეგ აღარ უნდა იბრძოლო და ის გარანტირებულია, მათ შორის იმ ტრადიციის თვალსაზრისით, რომელსაც ჩვენად ვაღიარებთ. თქვენ შეგიძლიათ თქვენი მრავალი მეგობრის მხარდაჭერის იმედი გქონდეთ ევროპაში, თუკი ამ გზას დაადგებით.

ილია მარჯანიძე:

ჩემი ბოლო და იქნებ ყველაზე მნიშვნელოვანი შეკითხვა ევროკავშირის მომავალ ფორმას ეხება. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალი მხოლოდ ევროკავშირთან ერთად წარმოგვიდგენია, ჩვენთვის ამ გაერთიანების მომავალი არ არის უბრალოდ საინტერესო, არამედ არის უკიდურესად მნიშვნელოვანი.

ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენ, სხვებთან ერთად, ინტენსიურად ფიქრობთ და მიუშაობთ იდეაზე, რაც შეეხება ევროკავშირის გადასვლას სხვა ახალ მოცემულობაში, კონფედერაციული სახელმწიფოს ფორმატში.

თქვენ, როგორც ევროკავშირში პოლონეთის წარმომადგენელს, კარგად მოგეხსენებათ რას ნიშნავს, იყოთ ერთი, ყოფილი საბჭოთა ოსტბლოკისგან არსებითად განსხვავებული ერთობის სრულფასოვანი წევრი, რომელიც საშუალებას გაძლევთ განავითაროთ თქვენი ქვეყნის ეროვნული განსაკუთრებულობები, დაიცვათ ეროვნული ინტერესები სხვა თქვენსავით მოფიქრალ ქვეყნებთან ერთად.

სიამოვნებით მოვისმენ თქვენს მოსაზრებებს ევროკავშირის მომავლის შესახებ.

პირადად მე, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საქართველო ჩვენი სამშობლოა, ხოლო ევროპა კი, ჩვენი სახლია. ჩვენი სახლის მომავალზე კი, ჩემი სამშობლოს მომავალია უშუალოდ დამოკიდებული!

პროფ. ზდისლავ კრასნოდებსკი:

დიდი მადლობა, ეს არის კითხვა, რომელიც მეც და სხვა მრავალ ადამიანსაც აწუხებს. გუშინ ზაგრებში უკვე მესამედ გვქონდა დისკუსია, სადაც ჩემს ფრაქციასთან, ჩემს პოლიტიკურ ოჯახთან ერთად, რომლის სახელია „ევროპელი კონსერვატორები და რეფორმები“, დავიწყეთ ეს ევროპული ვირტუალური ტური, მანამდე ვიყავით ვარშავაში, სოფიაში და ახლა კი, ზაგრებში. ვსვამთ კითხვას, თუ როგორ წარმოგვიდგენია მომავალი ევროპელ კონსერვატორებს, რომლებსაც ამავე დროს, ევრო კავშირის რეფორმირება გვსურს. ჩავალთ ბუქარესტში, მადრიდში. თქვენც შეგიძლიათ ჩაერთოთ ონლაინ, მონაწილეები იქნებიან გერმანიიდან, საფრანგეთიდან.

პრობლემა არის ის, რომ ევროკავშირი დღეს წარმოადგენს ძალიან რთულ, კომპლექსურ ერთეულს. ბევრმა ჩემმა თანამემამულემ არ იცის, როგორია გადაწყვეტილების მიღების პროცესი, როგორია განსხვავებული ინსტიტუციების კომპეტენციები, ევროპული სამართალი არის ძალიან რთული და ეს არ არის სიახლე. ევროკავშირი არის საერთაშორისო ორგანიზაცია, მაგრამ ამავე დროს, რაღაც მეტი, ვიდრე საერთაშორისო ორგანიზაცია, ის ეფუძნება წევრ სახელმწიფოებს, არსებობს გარკვეული საზღვრები. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოც ამბობს, რომ წევრი ქვეყნები არიან ხელშეკრულებების სუვერენები. ჩვენ გვაქვს ხელშეკრულებები, მაგრამ ჩვენ გვაქვს, აგრეთვე, ტრანსნაციონალური ინსტიტუციები.

არსებობს დავა ინსტიტუტებს შორის. მაგალითად, ევროპის პარლამენტში, გაისმის ხოლმე ხმები, რომ ჩვენ ვართ ერთადერთი დემოკრატიულად არჩეული ინსტიტუცია, ვინაიდან ავირჩევით წევრ სახელმწიფოებში, ამავე დროს, არსებობს კომისია, რომელსაც აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება და არსებობს საბჭო - მინისტრიალი თავისი კომპეტენციით. მე სულ რთული მოლაპარაკებები მიწევდა საბჭოსთან. კლიმატის ცვლილების შესახებ ახალ კანონზე, მაგალითად, იყო განსხვავებული აზრები საბჭოს, ე.ი. წევრი ქვეყნების მეთაურებით დაკომპლექტებულ ორგანოსა და ევროპარლამენტს შორის, რაც მოითხოვს რთულ მოლაპარაკებებს.

შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის მომავლის შესახებ არსებობს სამი მიმართულება: პირველს წარმოადგენს ფედერალისტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ევროკავშირი უნდა განვითარდეს ფედერაციის მიმართულებით, უნდა გაფართოვდეს უმრავლესობის უფლებები, პარლამენტის კომპეტენცია და შემცირდეს წევრი ქვეყნების კომპეტენცია. ეს არ არის ჩემი პოზიცია, ჩვენ ვსაუბრობთ კონფედერაციაზე.

საპირისპირო არის ბრიტანული მიდგომა, რომელიც ამბობს, რომ ევროკავშირი არის თავისუფალი ბაზარი და არ გვჭირდება პოლიტიკისა და ეკონომიკის ასეთი გადაჯაჭვულობა და ის უნდა მოვიშოროთ. რამდენად შესაძლებელია ამის გაკეთება, ეს სხვა საკითხია. ანუ განიხილება, როგორც ფედერაციული მოდელი, ერთგვარი ფედერაცია, გერმანიის ან შეერთებული შტატების მოდელის მსგავსი და საპირისპირო - ბრიტანული, რომელიც ამბობს, რომ მხოლოდ ეკონომიკური კავშირი გვესაჭიროება. რა თქმა უნდა, ბრექსიტის მერე ამ მიდგომის წონა შემცირდა.

ჩვენი ფრაქცია კი წარმოადგენს ერთგვარ მესამე გზას, რომელიც საუბრობს ეროვნული სახელმწიფოების კონფედერაციაზე, ძლიერი ინსტიტუტებით, შეიძლება უფრო ძლიერთაგ კი, ვიდრე ახლაა, გარკვეულ სფეროებში, მაგალითად, თავდაცვისა და უშიშროების სფეროში. ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი საგარეო საზღვრები, იმ საფრთხეებისგან, რომლებიც სახეზეა, შესაძლოა პრეზიდენტის ინსტიტუტის არსებობაც კი; ამავე დროს, ნათლად განსაზღვრული, შეზღუდული უფლებებით ამ საერთო ინსტიტუციებისთვის და სხვა მხრივ, სუბსიდიარობის პრინციპის დაცვით, შესაძლოა რეფორმულირებით და უფრო გამოკვეთით, სერიოზულად მიღებული ეროვნული სახელმწიფოები მათი კომპეტენციებით.

ის, რაც თქვენ თქვით, რომ საქართველო არის თქვენი საბზობლო, ის ამავე დროს არის სახელმწიფო, ყველა მისი სათანადო პრეროგატივით და სახელმწიფო შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოებთან ერთად კონფედერაციის წევრი, გარკვეული საერთო ინსტიტუციებით. ეს არის ის ხედვა, რომლის გავრცელებასაც ვცდილობთ, ვინაიდან მე ვახსენე, რომ ჩვენ საკამათო ევროპული ღირებულებები გვაქვს. ჩემი წარმოდგენით, ამ კონფედერაციას განსხვავებული, უფრო მეტად პოზიტიური დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ევროპული ისტორიისა და ღირებულებებისადმი, მათ შორის ქრისტიანული მემკვიდრეობისადმი, რაც ბევრი კოლეგის მხრიდან სკეპტიციზმს აწყდება და უარყოფილია. როცა მსოფლიოში ადამიანის უფლებების დარღვევის დაგმობაზეა საუბარი, მუდამ არის კონსენსუსი. ჩვენ, რა თქმა უნდა, ასევე ვგმობთ სხვადასხვა ეთნოსისა და რელიგიური ჯგუფის უფლებების დარღვევას, მაგრამ, როგორც კი საუბარს ვიწყებთ ქრისტიანთა უფლებების შელახვაზე სხვადასხვა ქვეყანაში, მაშინვე რთულდება უმრავლესობის მოპოვება. მე ვფიქრობ, ევროპამ არ უნდა თქვას უარი თავს ტრადიციებზე.

ჩვენ ვიწვევთ ქართველ მეცნიერებს და ფილოსოფოსებს ამ დისკუსიაში. ვგეგმავთ ქართველ, გერმანულ და ფრანგ კოლეგებთან ინტერაქციით ამ საკითხებზე ხანგრძლივ თანამშრომლობას.

პროფ. დავით გურგენიძე:

დიდ მადლობას მოგახსენებთ ყველა ამ საინტერესო საუბრის მონაწილეებს. დღეს, ფაქტობრივად, ჩვენ შევხებით მრავალ საკითხს, რომელიც, როგორც ევროკავშირისთვის, ისე ჩვენი ქვეყნისთვის პრიორიტეტს და იმავდროულად, გამოწვევას წარმოადგენს. მართლაც ის პრობლემები, რაც უკვე მრავალი წლის განმავლობაში დაგროვილი იყო ევროკავშირის წევრი და ევროკავშირისკენ

მსწრაფვი ქვეყნებისთვის, covid-19-ის პანდემიამ უფრო მეტად ხილვადი გახადა. კულტურული კაცობრიობის უპირველესი ამოცანაა არა მხოლოდ პანდემიის დროული დაძლევა და ექსისტენციალური საფრთხის გაუვნებლყოფა, არამედ შეძლებისდაგვარად სწრაფად, იმგვარი ახალი სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და საგანმანათლებლო სტრუქტურების ჩამოყალიბება, რომლებიც ადამიანების კეთილდღეობისკენ იქნება მიმართული და რომ ეს კეთილდღეობა მხოლოდ ფინანსურ-მატერიალურ წინსვლაში არ გამოიხატება, არამედ უფრო მეტად მნიშვნელოვანია ჰუმანისტური იდეების იმპლემენტაცია, შეძლებისდაგვარად მათი ინსტიტუციონალიზაცია, რაც არსებულ ერთა შორის დაძაბულობას მინიმუმამდე დაიყვანს. კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოვახსენებ ჩვენს სტუმარს, ბატონ პროფესორ ზდისლავ კრასნოდებსკის და იმედს გამოვთქვამ, რომ ჩვენი დიდი ხნის წინ დაწყებული კოლაბორაცია, კიდევ მრავალ წელს გასტანს და შემდგომ თაობებს გადაეცემა.

საუბარი შედგა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (GTU)

თბილისი, 19.02.2021

საუბრის ჩანაწერი გერმანულიდან თარგმნა ირაკლი თაბორიძემ.

22.07.2021